ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ნოემბრის 5. № 30 ტფილისი

შინაარსი

განათლება

231. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების შესახებ.

განათლება

231. დადგენილება ს.კ.ს

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივლისის 28.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების შესახებ

I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

1. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების მიზანია ებრძოლონ იმ არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევას, რომელთაც თექვსმეტი წელი არ შეჰსრულებიათ.

აღნიშნულ ბრძოლას კომისიები აწარმოებენ სამართლდამრღვევთათვის სამედიკო-საპედაგოგიკო ზედმოქმედების ღონისძიებათა შეფარდებით.

2. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიები—ადგილობრივი და ცენტრალური—არსდებიან ამა დებულების თანახმად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებთან და მოქმედობენ მათი მეთვალყურეობით.

3. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების ხარჯებს ეწევიან განათლების სახალხო კომისარიატის ის ორგანოები, რომლებთანაც კომისიები არსებობენ; ეს ხარჯები შეიტანება ამ ორგანოების ხარჯთაღრიცხვებში.

4. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიების მოქმედების წესი განისაზღვრება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციით.

5. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიის თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს კომისიის დადგენილებათა აღსრულებას.

კომისიის მთელი მიწერ-მოწერა სწარმოებს მისი თავმჯდომარის ხელმოწერით.

6. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიის მოქმედების ანგარიში წარედგინება განათლების სახალხო კომისარიატის იმ ორგანოს, რომელთანაც კომისია არსებობს, ხოლო ანგარიშის ასლი გაეგზავნება იმ დაწესებულებათ, რომელთაც კომისიის შედგენილობაში ჰყავთ თავიანთი მუდმივი წარმომადგენელნი—კომისიის წევრნი.

7. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

8. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიებს მოაწყობენ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ამა დებულებასთან შეფარდებით გამოცემული დებულებების საფუძველზე.

II. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიები.

9. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიები არსდებიან ქალაქებში და, საჭიროებისადამიხედვით, აგრეთვე სხვა და-

სახლებულ ადგილებში, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების თანახმად, სახალხო განათლების სათანადო განყოფილებების წარდგენით.

10. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიები, იმყოფებიან-რა სახალხო განათლების სათანადო განყოფილებათა გამგებლობაში, ექვემდებარებიან იმავე დროს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას.

11. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივ კომისიას შეადგენენ: თავმჯდომარე—პედაგოგი,—სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი,—რომელიც ინიშნება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალურ კომისიასთან შეთანხმებით, და წევრები: ადგილობრივი სახალხო მოსამართლე და ექიმი—ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილების ან ადგილობრივი ინსპექტურის წარმომადგენელი. კომისიის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

12. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიის სხდომებს შეიძლება დაესწრნენ, სათათბირო ხმის უფლებით, პროფესიონალური კავშირებისა და საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ადგილობრივი სარაიონო ორგანოების წარმომადგენელნი და აგრეთვე სხვა, იმ ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც დაინტერესებული არიან არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევასთან გეგმა-შეწონილი ბრძოლის განვითარების საქმით.

13. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების თვითეულ კომისიას ჰყავს გამომკვლევ-აღმზრდელთა და საბავშვო სოციალურ ინსპექტორთა შტატი და საჭირო მომსახურე ტექნიკური პერსონალი.

14. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიის თავმჯდომარედ და გამომკვლევ-აღმზრდელად შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელსაც აქვს საკმარისი საერთო განათლება და, ამის გარდა, პედოლოგო-პედაგოგიური მომზადება, ან პედაგოგიური სტაჟი არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევასთან და ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის სფეროში.

15. უკეთუ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისია, გამოკვლევის ცნობებისა და საქმის ყველა გარემოების თანახმად, სცნობს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევისათვის, რომელსაც ცამეტი წლის ასაკი შეჰსრულებია, სამედიკო-საპედაგოგიკო ზედმოქმედების ღონიეძიებათა შეფარდება საკმარისი არ არის, იგი საქმეს გადასცემს სასამართლოს ან საადმინისტრაციო ორგანოს—კუთვნილებისამებრ.

16. უკეთუ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა კომისია შენიშნავს საქმეში, რომ მოზრდილის მიერ დანაშაულია ჩადენილი მცირეწლოვანის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართ, იგი აცნობებს ამას სათანადო სასამართლო ორგანოს; ამასთანავე—კომისიას უფლება აქვს, თავისი თავმჯდომარისა და აღმზრდელ-გამომკვლევის სახით, ბრალმდებლობა გასწიოს სასამართლოში.

17. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ერთპიროვნული ძალა-უფლებით:

ა) მიანდოს ვისაც ჯერ არს გამოკვლევის წარმოება და მასალის განმზადება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კომისიამ განიხილოს საქმე;

ბ) იხმაროს ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს არასრულწლოვანის გამოცხადებას კომისიის სხდომაზე საქმის გასარჩევად;

გ) უკეთუ შემოვა საქმე ისეთ არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე, რომელსაც თექვსმეტი წლის ასაკი შეჰსრულებია, გადასცეს საქმე სასამართლოს ან საადმინისტრაციო ორგანოს, კუთვნილებისამებრ.

18. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება. ამ დადგენილების გადასინჯვა შეუძლია არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალურ კომისიას—ზედამხედველობის წესით (ამა დებულების 25 მუხლის „ე“ პუნ.), და აგრეთვე დადგენილების გამომტან ადგილობრივ კომისიას, უკეთუ გამოირკვა ახალი რამ გარემოება.

19. არასრულწლოვანთა მშობლებს და იმ პირთ, ვის მზრუნველობაზედაც ისინი იმყოფებიან, დაზარალებულს, მოწმეს და ექსპერტს, რომელნიც არაპატივსადები მიზეზით არ გამოცხადდებიან არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისიის დაბარებისამებრ, დაედებათ, ამ კომისიის დადგენილებით, ჯარიმა ათ მანეთამდე, და, უკეთუ საჭიროა, ისინი შეიძლება მიყვანილ იქნენ იძულებით.

III. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისია.

20. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისია არსებობს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან.

21. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალურ კომისიას შეადგენენ: თავმჯდომარე—განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და წევრები—ჯანმრთელობისა, სოციალური უზრუნველყოფისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების თითო მუდმივი წარმომადგენელი და თითო მათი მოადგილე.

22. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისიის სხდომებს შეიძლება დაესწრნენ, სათათბირო ხმის უფლებით, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კომისიის, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელნი და აგრეთვე სხვა დაინტერესებუ-

ლი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი—არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისიის მიწვევით.

23. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალურ კომისიასთან განწესებულ არიან კონსულტანტ-მომხსენებელი და მდივანი. ცენტრალური კომისიის ტექნიკურ მუშაობას ასრულებს განათლების სახალხო კომისარიატის აპარატი.

24. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისია უმაღლესი ორგანოა, რომელიც წარმართავს და კონტროლს და ზედამხედველობას უწევს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიების საქმიანობას.

25. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისიის გაბმგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დაამყაროს არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევასთან ბრძოლის შესახები კანონების წესიერი და თანაბარი შეფარდება;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო ორგანოების მეშვეობით არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევასთან ბრძოლისათვის მიმართული ღონისძიებანი;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიების საქმიანობას, თვალყური ადევნოს მათ წესიერ ფუნქციონირებას და აღნუსხოს მათი მუშაობა;

დ) მისცეს განმარტებანი ადგილობრივ კომისიებში აღძრულ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახები კანონებისა და ინსტრუქციების შეფარდებასთან;

ე) განიხილოს, ზედამხედველობის წესით არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიების მიერ გადაწყვეტილი საქმეები.

26. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიების მიერ გადაწყვეტილი საქმეების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის დროს ცენტრალურ კომისიას შეუძლია შეიტანოს ადგილობრივი კომისიების დადგენილებებში საჭირო შესწორებანი ან გააუქმოს ეს დადგენილებანი—საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემით იმავე ან სხვა, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ადგილობრივი კომისიისათვის.

27. უკეთუ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების ცენტრალური კომისია აღმოაჩენს იმ დაწესებულებაში სადაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევნი იმყოფებიან, საქმის ორგანიზაციის ნაკლოვანებას ან არაწესიერ წარმოებას, იგი აცნობებს ამას სათანადო უწყებას.

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 59 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 7/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI; ტირაჟი 2.000.

მთავ. რწმუნ. ს.—№ 89 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1575